ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
კომისიის თავმჯდომარე: კონსტანტინე გელაშვილი
კომისიის წევრი: ეკატერინე გეწაძე
კომისიის წევრი: ეკატერინე მაჭარაშვილი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.02.2022
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 002/22

I შეკითხვა:
იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული პროტესტის ნიშნად ტოვებს სასამართლო სხდომას და მოუწოდებს თავის ადვოკატს რომ დატოვოს სასამართლო დარბაზი და აღარ გააგრძელოს სხდომაში მონაწილეობა, როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი და თუ ადვოკატი გააგრძელებს სხდომაში მონაწილეობას, არის თუ არა ეს „ადვოკატის შესახებ“ საქართველოს კანონის და ეთიკის ნორმების დარღვევა? ბრალდებულის ხსენებული მოთხოვნის ადვოკატის მიერ შესრულებლობა ეწინაღმდეგება თუ არა კლიენტის ინტერესებს?

II ანალიზი:
კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის ქმედებების აღმწერი ჰიპოთეტური ფაქტები შესაფასებელია შემდეგი ეთიკურ ვალდებულებათა დაცვის გათვალისწინებით: კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედება და სასამართლოში არსებული ქცევის წესების დაცვა.

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირად და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს (აპეკ-ის მე-5 მუხლი)

ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია, დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს (აპეკ-ის 9(1) მუხლი).

ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებულ ქმედებას სამართლებრივი ძალა აქვს. ამიტომ ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით.

„მაღალი პროფესიული და ეთიკური სტანდარტიდან გამომდინარე, ადვოკატს მეტი პასუხისმგებლობა აკისრია სასამართლოსა და სხდომაზე დამსწრე პირთა წინაშე. შესაბამისად, ადვოკატის ქცევის შესახებ კანონი ცალკე მიუთითებს და ამბობს: „ადვოკატის არასათანადო ქცევის შესახებ სასამართლოს გამოაქვს შესაბამისი განჩინება, რომელიც ეგზავნება ადვოკატთა გაერთიანებას“ (იხ. სსკ, მუხლი 212(4)).(იხ. წერილობითი რეკომენდაცია 008/18, 2018 წლის 24 ოქტომბერი).

კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების არსი

საადვოკატო სამქიანობისას, ადვოკატი გამოხატავს კლიენტის ინტერესებს, შესაბამისად, მისი ყოველი მოქმედება, მათ შორის სასამართლოში წარმომადგენლობა უნდა ეფუძნებოდეს კლიენტის ნებას. ადვოკატი არის კლიენტის კვალიფიციური მრჩეველი და მასთან შეთანხმებულად წარმოადგენს მის ინტერესებს, თუმცა კლიენტის მითითებით მოქმედება ყოველთვის უნდა იყოს კანონიერი. ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება იყოს კლიენტის ინტერესი კონკრეტული სამართლებრივი პრობლემის მოგვარების გზაზე.

ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობაა კლიენტს განუმარტოს, თუ რა სამართლებრივი შედეგები შესაძლოა დადგეს ამა თუ იმ მოქმედების შემთხვევაში.

ირკვევა, რომ კლიენტი სპონტანურად ტოვებს სასამართლო სხდომის დარბაზს და მოუწოდებს ადვოკატს იმავე მოქმედებისკენ, რაც ქმნის იმის ვარაუდს, რომ შესაძლოა, ადვოკატს იმ ეტაპზე არ ჰქონდეს კლიენტთან გასაუბრების შესაძლებლობა.

არის თუ არა კლიენტის ამგვარი მითითების უპირობოდ შესრულება კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედება?

როგორც აღინიშნა, კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების არსია ადვოკატს ჰქონდეს შესაძლებლობა იცოდეს თუ რა არის კლიენტის რეალური ნება, საქმის წარმართვის რა მოლოდინი აქვს. აღნიშნულ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი სპონტანურად ტოვებს სხდომის დარბაზს, ივარაუდება, რომ ადვოკატმა არ იცის კლიენტის აღნიშნული ქმედების მიზანი და ასეთ დროს, ვერ აცნობიერებდეს იმ სამართლებრივ შედეგს, რაც შესაძლებელია, როგორც მისმა ქმედებამ, აგრეთვე, მისი ინტერესების დამცველის მიერ სასამართლო სხდომის დატოვებამ გამოიწვიოს. შესაბამისად, ამ მითითების უპირობოდ შესრულება ვერ ჩაითვლება კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედებად. ამასთან, დარბაზის მყისიერი დატოვება ადვოკატის მხრიდან შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვის, როგორც ეთიკური სტანდარტის დაცვის ვალდებულებასთანაც, ვინაიდან ადვოკატმა არ უნდა დატოვოს თვითნებურად სხდომის დარბაზი სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე.

შედეგად, ადვოკატმა ასეთ ვითარებაში უნდა გამოიჩინოს პროფესიული პასუხისმგებლობა, არ მიატოვოს თვითნებურად სასამართლო სხდომა და გამოიყენოს ყველა სამართლებრივი მექანიზმი კლიენტის პოზიციის დაზუსტებისთვის. კერძოდ, ითხოვოს შესვენების გამოცხადება ან თუ შესაძლებელია, იშუამდგომლოს სასამართლო პროცესის გადადების თაობაზე კლიენტთან კონსულტაციის გავლის მიზნით. ადვოკატი უნდა დარწმუნდეს იმაში თუ რა არის მისი კლიენტის ინტერესი, მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია პროტესტის ნიშნად მიღებული გადაწყვეტილების და

ადვოკატის მიერ მისი მითითების შესრულების და წარმომადგენლობის შეწყვეტის შემთხვევაში საქმის შესაძლო სამართლებრივი შედეგების თაობაზე.

პოზიციის დაზუსტების შემდგომ, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს, როგორც ბრალდებულს სურს მისი მონაწილეობის გარეშე გაგრძელდეს საქმის განხილვა არსებული ადვოკატის ჩართულობით, მოსამართლე უფლებამოსილია გააგრძელოს სხდომა ბრალდებულის დასწრების გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ გასაუბრების შემდგომ გაირკვევა, რომ კლიენტის მითითებაა საქმის განხილვაში აღარ მონაწილეობდეს არც მისი ინტერესების დამცველი, თვითნებურად, კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ, არსებული ადვოკატი ვეღარ გააგრძელებს ბრალდებულის ინტერესების დაცვას სასამართლო სხდომაზე. ასეთი მომსახურება იქნება კლიენტის ნების საწინააღმდეგო მოქმედება. არსებული ადვოკატის საქმიდან ჩამოცილება გამოიწვევს სახელმწიფო ხარჯით დანიშნული ადვოკატის დანიშვნას.

III დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი პროტესტის ნიშნად ტოვებს სასამართლო სხდომას და იმავეს მოუწოდებს მისი ინტერესების დამცველს, ადვოკატმა უპირობოდ არ უნდა შეასრულოს კლიენტის აღნიშნული მითითება, რაც არ იქნება კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედება და ამასთან, შესაძლოა, დაირღვეს სასამართლოში მოქმედი ქცევის წესები, როგორც ადვოკატის ეთიკური ვალდებულება. შესაბამისად, რეკომენდირებულია, ადვოკატმა სასამართლოს წინაშე ითხოვოს შესვენების გამოცხადება ან თუ შესაძლებელია, საქმის განხლვის გადადება კლიენტთან კონსულტაციის გავლის მიზნით, ამასთან, მიუთითოს მის მიერ ეთიკური სტანდარტების დაცვის აუცილებლობაზე. ადვოკატი უნდა დარწმუნდეს კლიენტის მიერ გამოვლენილი ნების შინაარსში. კლიენტის ინფორმირება ადვოკატს მისცეს საშუალებას მიიღოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილება, კლიენტის მითითების შესაბამისად.

შენიშვნა: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი /ეკატერინე მაჭარაშვილი/